



საიას კვლევის „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზის“ პრეზენტაცია ქალაქ ბათუმსა და ქუთაისში

2013 წლის 21 იანვარს ქალაქ ბათუმში, ხოლო 2013 წლის 22 იანვარს ქალაქ ქუთაისში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ კვლევის: „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზის“ პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრებს დაესწრნენ ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის სფეროში მომუშავე ორგანიზაციები, ქვეყნის საკანონმდებლო, ხელისუფლების წარმომადგენლები, შესწავლილ საქმეთა მსჯავრდებულები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში გამოიკვეთა თვალშისაცემი ტენდენცია-ქვეყანაში პოლიტიკურად დაძაბულ პერიოდში შესამჩნევად იზრდება ოპოზიციის წარმომადგენელთა დაკავებები. შესაბამისად, საზოგადოებაში ყოველთვის ჩნდება კითხვა, ახლავს თუ არა ამ საქმეთა წარმოებას პოლიტიკური მოტივი.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ 2011 წელს გამოაქვეყნა მონიტორინგის ანგარიში, რომელშიც შევიდა 2009 წლის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით დაკავებული ადამიანების საქმეები და მათი ანალიზი. მონიტორინგმა გამოავლინა არაერთი დარღვევა, რომელსაც ადგილი ჰქონდა მართლმსაჯულების

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



განხორციელებისას.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, 2011 წლის მაისში ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ აქციებს მოჰყვა არაერთი იმ პირის დაკავება, რომელიც ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობდა საპროტესტო მიტინგებში. საია, მსგავსად 2009 წლის საპროტესტო აქციების შემდგომი მოვლენებისა, ამჯერადაც გამოეხმაურა საზოგადოების ინტერესს. იმის გასარკვევად, აღნიშნული საქმეები წარიმართა თუ არა კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვით, ორგანიზაციამ შეისწავლა 21 საქმე, რომელიც 55 პირს ეხება.

სისხლის სამართლის საქმეთა ანალიზმა გამოავლინა კანონის არსებითი დარღვევა და უარყოფითი ტენდენციები როგორც გამოძიების ორგანოების, ისე სასამართლოს მხრიდან, რაც კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს მართლმსაჯულების განხორციელებას. კერძოდ, გამოვლინდა:

- ტრობიციური პარტიების აქტივისტების დაკავება ხშირ შემთხვევებში იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ფლობისა ან პოლიციისათვის წინააღმდეგობის ბრალდებით;
- მრალდებულის კონსტიტუციური უფლებების უხეში დარღვევა;
- საქმის არასრულყოფილი გამოძიება;
- ერთიერთგამომრიცხავი და არადამაჯერებელი მტკიცებულებები;
- წინააღმდეგობის არასწორი კვალიფიკაცია;
- გარემოებათა ერთობლიობით გამოვლენილი დასაბუთებული ეჭვები გამოძიების და სასამართლოს მიმართ.

ასევე, საიამ, საქმეთა შესწავლის პროცესში, გამოავლინა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ხარვეზები, რომელთა გამოსწორება აუცილებელია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დასაცავად და მოამზადა კონკრეტული რეკომენდაციები.

სისხლის სამართლის საქმეებთან ერთად, საიამ შეისწავლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 12 საქმეც. დარღვევები და მსგავსი ტენდენციები გამოვლინდა როგორც პირთა დაკავების, ასევე სასამართლო განხილვისა და შემდგომ - დროებითი მოთავსების იზოლაციის პირობებში. კერძოდ:

- დაკავებულის უფლებების უხეში დარღვევა;
- დაკავებისას ძალის გადამეტება და არასათანადო მოპყრობა;
- ტორმალური სასამართლო პროცესი;
- დაცვის მხარის შუამდგომლობებზე უარის თქმა;
- წოლიციელთა ჩვენებების ცალმხრივად გაზიარება;

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



შრაპროპორციული სახდელის დაკისრება;

დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები;

შფლებების უხეში დარღვევა დროებითი მოთავსების იზოლატორებში.